

ხელშეკრულება 754/08 12.11.2021

ქ. თბილისი

„11,, ნოემბერი 2021 წელი

ერთი მხრივ, შპს „სერვისების მართვის კომპანია“ (შემდგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, მალხაზ სანიკიძის სახით, და მეორე მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „შემსრულებელი“), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ლაშა სალინაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის მიერ მითითებული მისამართიდან შემსრულებლის მიერ აღებული ერთი ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზი ცხრილის მიხედვით. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC (World Bank Group)) Environmental, Health, and Safety Guidelines for Health Care Facilities, 2007; Table 2. Effluent Levels for Health Care Facilities- ის მიხედვით. ნიმუშის აღება მოხდება შემდეგი სტანდარტის მიხედვით: მთავრობის დადგენილება #26(03.01.2014); გოსტ31861-2012;ისო5667-1:2020; გოს 31942-2013(ისო19458:2006.

| N  | დამაზიანებელი/მაჩვენებელი<br>Pollutant/parameter   | ერთეული<br>Units            | ღირებულება<br>Price, GEL |
|----|--|-----------------------------|--------------------------|
| 1  | pH   | ს.ე. // S.U                 | 15                       |
| 2  | ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება (ჯბმ <sub>5</sub> ) / Biochemical oxygen demand (BOD <sub>5</sub> ) | მგ/ლ // mg/L                | 40                       |
| 3  | ჟანგბადის ქიმიური მოხმარება (ქქმ) / Chemical oxygen demand (COD)                                   | მგ/ლ // mg/L                | 40                       |
| 4  | ცხიმები / Oil and grease   | მგ/ლ // mg/L                | 85                       |
| 5  | შეწონილი ნაწილაკები / Total suspended solid (TSS)  | მგ/ლ // mg/L                | 35                       |
| 6  | კადმიუმი / Cadmium (Cd)  | მგ/ლ // mg/L                | 70                       |
| 7  | ქრომი / Chromium (Cr)  | მგ/ლ // mg/L                | 70                       |
| 8  | ტყვია / Lead (Pb)  | მგ/ლ // mg/L                | 70                       |
| 9  | ვერცხლისწყალი / Mercury (Hg)   | მგ/ლ // mg/L                | 105                      |
| 10 | ნარჩენი თავისუფალი ქლორი / Chlorine, Total residual  | მგ/ლ // mg/L                | 70                       |
| 11 | ფენოლი / Phenols   | მგ/ლ // mg/L                | 85                       |
| 12 | საერთო კოლიფორმული ბაქტერიები / Total coliform bacteria  | MPN/100 მლ<br>// MPN/100 ml | 105                      |
| 13 | ტემპერატურა (სხვაობა) / Temperature (increase)   | °C                          | 10                       |
|    | <b>ჯამი / Total</b>  |                             | <b>800</b>               |
| 14 | ნიმუშის აღება / Sampling   |                             | 50                       |
|    | <b>სულ / Total</b>   |                             | <b>850</b>               |

2. ხელშეკრულების პირობად განისაზღვროს, რომ ერთი ნიმუშის ღირებულება შეადგენს 850 (რვაასორმოცდაათი) ლარს დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.

3. სამუშაოს შესრულების ვადა: 2022 წლის 1 დეკემბრამდე

4. მომსახურების შესრულების ადგილი: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელქიმიის ინსტიტუტი ( ქ. თბილისი, მინდელის ქ #11).

2. მხარეთა ვალდებულებანი და პასუხისმგებლობა

1. დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს შესრულებულ სამუშაოზე, შემსრულებლის მიერ მიწოდებული ინვოისის მიხედვით, გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება, დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით.

2. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროულად და ხარისხიანად.

ბ)შესრულებული სამუშაოს სათანადო დონეზე შესრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, მოახდინოს ნაკლის გამოსწორება (ხელახლა და სრულყოფილად ჩაატაროს ანალიზები).

გ) შემსრულებელი თავად არის პასუხისმგებელი შესრულებული სამუშაოს უსაფრთხოებაზე.

3. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან გადაიხადონ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%.

3. ხელშეკრულების საფასური და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების პირობის მიხედვით ერთი ნიმუშის ღირებულება შეადგენს 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარს დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.

2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების სახით, პერიოდულად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, შესაბამისი დასკვნის გაცემისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ათი საბანკო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება თსუ რაფიელ აგლამის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორს გრიგორ ტატიშვილს.

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
2. მხარეები ადასტურებენ, რომ აქვთ კანონმდებლობით ამ ხელშეკრულების გაფორმებისთვის აუცილებელი უფლებამოსილება, მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირები უფლებამოსილნი არიან დადონ წინამდებარე ხელშეკრულება.
3. მხარეთაშორის წარმოშობილი უთანხმოება შეიძლება გადაწყდეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისგან ნფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში.
5. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (ერთი-დამკვეთს, ორი- შემსრულებელს).

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი:

შემსრულებელი:

შპს „სერვისების მართვის კომპანია“

ს/კოდი: 405212121

პროკრედიტ ბანკი

GE 35 PC 01 33 600 1000 67 596

სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ს/კოდი: 204864548

ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძისგამზ#1

სახელმწიფო ხაზინა

ხაზინის ერთიანი ანგარიში

№708967257

დირექტორი

-----

/მალხაზ სანიკიძე/

MALKHAZ  
SANIKIDZE

Digitally signed  
by MALKHAZ  
SANIKIDZE  
Date: 2021.11.11  
22:44:59 +04'00'



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ლამა ხაღინაძე